III მსოფლიო საეკლესიო კრების ხსენების დღეს ეფესოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში ლიტურგია აღასრულა

2021 წლის 22 სექტემბერს, მართალთა მშობელთა ღვთისათა იოაკიმესა და ანას და III მსოფლიო საეკლესიო კრების (431) ხსენების დღეს, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსკოვის საპატრიარქოს მორწმუნეების სულიერ მზრუნველობაზე პასუხისმგებელმა მღვდელმა გიორგი სერგეევმა, ეფესოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც კრება მიმდინარეობდა, ლიტურგია აღასრულა.

მრჩობლ კვერექსზე გაჟღერდა კორონავირუსული ინფექციისგან დასახსნელი სავედრებელი ლოცვები, ვედრება ექიმებისთვის, და ასევე აღვლენილ იქნა სნების განმფენი ქარის დროს საკითხავი ლოცვა.

ღვთისმსახურებას მრავალრიცხოვანი მომლოცველი ეწვია – სტამბოლიდან, იზმირიდან, ანტალიიდან, ალანიიდან, ქემერიდან, მარმარისიდან, მანავგატიდან და კუშადასიდან. ბევრმა მათგანი ქრისტეს წმინდა საიდუმლოს ეზიარა.

ლიტურგიის დასასრულს მამა გიორგიმ მორწმუნეებს სიტყვით მიმართა. მღვდელმა ისაუბრა ეფესოს კრების ისტორიის შესახებ, აღნიშნა კრების გადაწყვეტილებების სწავლა-მოძღვრებითი მნიშვნელობა ქრისტეს ეკლესიის ცხოვრებაში.

მღვდელმსახურმა მადლობა გადაუხადა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს ღვთისმშობლის ტაძარში ღმრთისმსახურების ჩატარების ნებართვისთვის, რომელიც ეფესოს ქალაქ-მუზეუმში მდებარეობს, ასევე რუსეთის ა.ი. სოლჟენიცინის სახელობის კულტურის საზოგადოების თავმჯდომარეს ა. პონომარევს მორწმუნეთა მოლოცვის ორგანიზებაში დახმარებისთვის.

***

III საეკლესიო კრება 431 წელს ქალაქ ეფესოში (მცირე აზია) გაიმართა, იმპერატორ თეოდოსი მცირის დროს (408-450). ეკლესიის მიერ კრება მოწვეული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნესტორის (428-431) ცრუ სწავლების განსახილველად. კრებამ დაგმო ნესტორის მწვალებლობა და დაადასტურა მართლმადიდებლური სწავლება იმის შესახებ, რომ უფალ იესო ქრისტეში ერთი პირი (ჰიპოსტასი) და ორი ბუნება უნდა აღიარონ – ღვთაებრივი და კაცობრივი, ხოლო უფლის უწმინდესი დედა უნდა განადიდონ, როგორც მარადისქალწული და ჭეშმარიტი ღვთისმშობელი. კრების წმინდა მამებმა მიიღეს რვა კანონი და დაამტკიცეს წმინდა კირილე ალექსანდრიელის „თორმეტი ანათემა ნესტორის წინააღმდეგ“.

Патриархия.ru./

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88103/